

საქმე №330310022005779009

საქმე №3/3212-22



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

30 მაისი, 2022 წელი
თბილისი

ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგია

მოსამართლე ლიელა ფოლადიშვილი

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხეები - 1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო; 2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალეზა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში
მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2022 წლის 13 მაისს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელმა
დირექტორმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ გარემოს
ეროვნული სააგენტოს მიმართ შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

1. გაუქმდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის
N21/1283 წერილი (გადაწყვეტილება), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ
„მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 14 მარტის N22/05-156 განცხადების
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ;

2. დაევალოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ა(ა)იპ „მწვანე
ალტერნატივასთვის“ მის მიერ 2022 წლის 14 მარტის N22/05-156
განცხადებით მოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 05 მაისის N4676/01 წერილი,
რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 29
აპრილის N22/05-157 ადმინისტრაციული საჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 16 მაისის განჩინებით სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. ხარვეზის განჩინებით მოსარჩელეს დაევალა პირველი სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის - ქვითრის დედნის წარმოდგენა.

2022 წლის 13 მაისს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი 100 ლარის ოდენობით, მოსარჩელის მიერ პირველი სასარჩელო მოთხოვნა დაზუსტდა შემდეგი სახით:

1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის N21/1283 წერილი (გადაწყვეტილება), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 14 მარტის N22/05-156 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს, ამ ეტაპზე სარჩელის დასაშვებობა საეჭვოდ არ არის მიჩნეული, რის გამოც არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეზე განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნის საჭიროება. შესაბამისად, სარჩელი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და დასაშვებად ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

დასახელებული ნორმების გათვალისწინებით, სასამართლოს მიიჩნევს, რომ საქართველოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სრულად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-4, მე-13, მე-19, 26²-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 446-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. დაევალოთ მოპასუხეებს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სრულად;
3. **3/3212-22** ადმინისტრაციული საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე;
4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე
ლიელა ფოლადიშვილი**